

140
990

100-2

ISSN 0868-5177

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი



საქართველო

11
1990



მზია კორკოტაძე ბორჯომელია და ამიტომაც გულთან უფრო მიჯვან ქალაქსა თუ მთელ რაიონში ამ კუთხით მოძალბებულ პაციენტებს ბი. მართალია, ერთხანს მასწავლა შობილიურ გარემოს — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ განაწილებით მუშაობდა ჯერ ხაშურის ბავშვთა პოლიკლინიკაში, შემდეგ — ქარელის საავადმყოფოში; მაგრამ სამი წელია, ისევ ბორჯომში დაბრუნდა. სულ სხვა ყოფილა შობილიურ გარემო, ისე შეჩვივა ახალ კოლექტივს, თითქოს მთელი ცხოვრება მასთან გაეტარებინოს. აქ თითქმის ყველა ზგახი ნაცნობია, ბევრი თავისი პაციენტის შობილებს გოგონა და ბიჭობა ასხოვს, ზოგი — მასთან ან მეზობელ სკოლაში სწავლობდა, ესეც ბევრს ნიშნავს. რაღაცნაირად, თითქოს ნათესაურადაც აახლოებენ პატარა პაციენტთან. ეს სიახლოვე კი თვალსა და ხელს შუა ბავშვთან შეჩვევაში, მის შეყვარებაში გადაზრდება.

სამყაროს ბავშვის თვალებით უნდა უყუროო — გვასწავლიდა ერთი დიდი ფრანგი მხატვარი. სხვისი არ ვიცი, მაგრამ პედიატრისთვის აღბთ შეუძლებელია ბევრი რაიმესთვის „დიდის“ თვალებით ყურება. საბავშვო ბაღის სათამაშო ოთახს მოვაგონებს მზია ექიმის სამუშაო კაბინეტი. რას არ ნახავ აქ; სულო და გულო... ყველაფერია, საჩხაყუნებელი დაწყებული და თვალუბკუნა თოჯინებიც და პრიალა მანქანებით დამთავრებული. მოზრდილი ადამიანიც კი გაერთობა... ამდენ კრულ სამუშაოს რომ დაინახავენ, ცეროდენები შე მოსვლისთანავე ისე გააცეცდებიან ხოლმე, უცებ ავიწყდებათ მისი თეთრი ხალათი. ვერც წამლის სამუშაოს იგრძნობენ ხოლმე და ვერც ნემსისას. დამეგობრებით კი უცებ უმეგობრდებიან. რომ იზრდებიან, უფრო მეტი სიყვარულით ეტანებიან. ეს ბავშვებით ახარებს. მით უფრო, რომ უკვე „ბებიაცა“ — ბევრი თავისი ყოფილი პაციენტის შვილის მკურნალი.

სამედიცინო სამსახურის განვითარების მიზანმიმართული

ნინო ხარაზიშვილი
ფიჭო ნუბუაძე ქარელისა

მზია კორკოტაძე გაგანია სამუშაო დღეებში გვიცანი. ასეთი გაგანია მთელი ზაფხული ბორჯომელიათვის, რომელიც საკურორტო ან სამედიცინო მომსახურების სფეროში მუშაობს. ქალბატონი მზია ექიმი, პედიატრი, ბორჯომის რისაავადმყოფოს ბავშვთა პოლიკლინიკურ განყოფილების გამგე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, რაიონის მკვიდრი პატარა პაციენტების (4.000 ბავშვი) გარდა, ზაფხულობით აქ დამსვენებელ ჩერონობილელ დაავადებულ ბავშვებსაც პატრონობს. ამას დაუმატებთ ბორჯომელ პედიატრთა ინტენსიური მომსახურების მომლოდინე სხვა პატარა

და მსვენებლებიც. ასე რომ, აქ ზაფხულში ვერ მოიწყენ, თუმცა საქმის შემოკლებასა და მოწყენას ვერც წელიწადის სხვა დროს დაიბრალვებ. ბავშვთა ექიმი სულ ვულკანზე ზის — არ იცის, რა დროს რა ინფექციის საშრობება განჩნდება. სხვას რომ გაეცე, ბავშვთა ინფექციურ დაავადებებს ვერ გაეცევი, პროფილაქტიკური აცრების ინტენსივობას განუწყვეტლებო თვალი უნდა ადევნო. ეს სამუშაო მუდამ საგულისხმოა და, მით უფრო, სერიოზულ ინფექციურ დაავადებათა გავრცელების დღევანდელი საშიშროებისა და ანტიანტიბიოტიკების პირობებში.

ინტერტუტის დამთავრებიდან სულ რაღაც ხუთიოდ წელში „ბებია“ რომ გახდის. ლამის დაბერება დაიჭყრება, — სიცილით ამბობს. თანდათან შეეჩვიოთ თავის პაციენტთან ამ მუდ-მუდ ფრისიციანთან — მათ მოულოდნელ ხილვას დედის ან მამის როლში. ახლა კიდევ სიმამრებთან...

ბედნიერია, რომ ბავშვობის ოცნება პროფესიად გაიხადა, არა ზოგადად ექიმობა, არამედ — სწორედ ბავშვებისა. როგორც ჩანს, ეს მისი ხასიათის მოთხოვნილებაა იყო. აქ მუშაობაშიც ძირითადად ეს ხასიათი დამყარდა, თანდაყოლილი ალიოიანობაც. ექიმის პროფესიისათვის აუცილებელი ის პატარა „მსახიობურა“ მონაცემებიც, დღის მძიმე ავადმყოფის პატრონთან ურთიერთობას ასე რომ უდავოებს, მისი თუ თავისი შიშისა და ეჭვის გაფანტვა-გაქარწყლებებში რომ ეხმარება.

პოლიკლინიკაში მუშაობა თავად არჩია, რადგან მტკიცედ სწამს, ავადმყოფობასთან ბრძოლისას, მით უფრო, ბავშვებს შორის, მისი საწინააღმდეგო პროფილაქტიკური მუშაობა აყვალავს მთავარი. ამ გადამწყვეტილებით დაბრუნდა ბორჯომშიც, ვარკეთილ ყალიბში მოაქცია ის მუშაობა. ჩამოსვლის პირველმავე თვეებში მოჰკიდა ხელი ბავშვთა ტუბერკულოზური ინტოქსიკაციის გამოსავლენად ე. წ. მანტუს სინჯების აღებას. გააოცა პირველმავე შედეგმა — არ ეგონა, ამ დაავადებისათვის მიღრკილება ამდენ ბავშვს თუ ექნებოდა საქართველოს უნიკალური საკურორტო ფიკოვან ზონაში... ჩატარა ტუბერკულოზური ინტოქსიკაციის მქონეთა დისანსერიზაცია — დაუნიშნა რეგულარული მკურნალობა.

პატარა ყურნალი აქვს... მასში აკეთებს სათანადო აღნიშვნებს. იმდენი აღერგიული დაავადება ხვდება, ვერ აუღის. მათი უმეტესობა გამოწვეულია წიწვოვანის სიკვარით. წამლის დეფიციტზე ბევრ პრობლემას უჩინებს... ბავშვი ინტექტიურ დაავადებათაგან მაინც ხომ მაქსიმალურად უნდა დაახლოვდეს — სათანადო აცრე-

ბის ჩატარებაც საგულდაგულოდ აღინუსხება.

ჯერ მარტო ოცდაოთხი ინვალიდი ბავშვი ჰყავდა აღრიცხვაზე. ყველას მკურნალობას ვერ ექნება საგულსისხნო პერსპექტივები. ზრუნვას არ იშურებენ. მაგრამ მაინც ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ახერხებენ დახმარებას — ავთიაქან შუამფარმობენ, რომ უფასო წამლებით უზრუნველყოფენ.

მედლიცა ცხოვრების ენციკლოპედიაა, — გვერდშუქუნებს ერთი ძველი სენტენცია. თუ გაიხსენებთ, რომ პედიატრს ცოტა პედაგოგობა, ცოტა ფსიქოლოგობა და ასე ცოტ-ცოტა კიდევ უმარაგი ცოდნა მოეთხოვება, ამ ძველ სენტენციას ვერაფრით შეედავებით. მკურნალი პედიატრი ის აღმამიაა, რომელსაც არ უნდა გამოეგებაროს ბავშვის ხასიათის არცერთი პათოლოგიური ნიუანსი, მისი ზრდის ფიზიკური, გონებრივი, ფსიქოლოგიური და, ასე გასინჯეთ, სექსუალური განვითარების არცერთი დეტალი. ამაზე ადრე არავფიქრებულა, არადა, ამ მხარეს ბავშვის პიროვნულ განვითარებასა და ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი ადგილი უჭირავს.

ყველა პედიატრს ჰყავს განსაკუთრებით საგულსისხნო სამუშაო კონტინენტები, ხალხი, ვისაც მისი ყურადღება და დახმარება სხვაზე მეტად სჭირდება. ესენი არიან მრავალშვილიანი დედები. მათთან კონტაქტი ბორჯომის რაისაავადმყოფოს ბავშვთა პოლიკლინიკური განყოფილებაში ძველი ტრადიციაა. გამგესთან ერთად ამ საქმეში განყოფილების ექვსივე ექიმ-პედიატრი და მთელი მედპერსონალი ყოველთვიურად მონაწილეობს. განყოფილება ხშირად აეთიხავს ამგვარ დედებს, სინჯავს მათ ბავშვებს და, თუ საჭიროა, უფასო მედიკამენტებით ამარაგებს.

კიდევ? ამას წინათ დამძვინებელიც გასინჯე, ყვიანახველით დაავადებული ბავშვები. დაუნიშნა მკურნალობა. სანამ ბორჯომში იყვნენ, ყურადღება არ დაუქცია. ამ რამდენიმე დღის წინაშე კი წერილი მიიღო — მშობლები იწერებიან დიდი სიხარულ-



ლითა და მადლობით — სრულიად გამოჯანმრთელდნენო, თქვენს ვალს ვერ გადავიხდით... ასეთი წერილები ძალიან ეხმარება, ბედნიერებას ანიჭებს, მის ცხოვრებას აღამაზებს, შეგლის დედობაში, ქალბინაში, უზარალოდ, კარგ დედობაში. კარგ დედიდად კი მას, სხვაზე რომ არავფიქრებულა, მარჯოველი ბავშვები ხომ იცნობენ?!

აღმათ არ შეიძლება, საკეთარი შევიღებისთვის ავტორიტეტი არ იყოს ყველასგან ასე დაფასებული დედა — მუდამ თბილი, მუდამ ალერსიანი, მუდამ — ქალური, თავის დროზე მკაცრიცა და მოთხოვნური. ისე კი თანატოლივით მეგობარული და გამაძვირ. ჯარჯი და ეგულა ჯერ იმდენად დიდები არ არიან, რომ დედის ყველა შინაგანი თუ გარეგნული ღირსება ჯეროვად დაავასონ. მაგრამ არც ისეთი პატარებიც, რომ ეს ყველაფერი ვერ იგრძნონ. დიახ, მზოი კოოკრატული სახლში მათი საჭიბთა აქვს ერთი ძველი ბედნიერება. ეს ბედნიერება ქალურ პატარ-პატარა ხელსაქმესთან და გატაცებებთან ერთად, შინაარსის მატებს მის ყოველდღიურობას, იმის ძალას აძლევს, რომ წერილობან-მსხვილობანი საზოგადოებრივი შეინარჩუნოს შინაგანი და გარეგნული მშვენიერება.

პოლონეთში არსებობს საგანგებო ჯილდო — ლიბლის ორდენი, მას ანიჭებენ სხვისთვის ბედნიერებას მიმიჩნეებელ ცალკეულ ადამიანებს. მშვენიერი ტრადიციაა, არა?



19.3.97

საქართველოს მთავრობის დადგენილება

ტყუპები

რეპაზ ინანიშვილი
მხატვარი
დავით ფაღაბა

გ ო თ ხ რ ბ ა

ომი სულ ახალი დამთავრებული იყო, რომ ქარხნის მუშებსა საჭიდაო მოკლადი გამართეს. მუშათა მატარებლის შემადგენელი გაჩნდნენ ქვემოთ, პატარა ჩაბაღებში, რომელსაც ქარხნის ბარაკები ემიჯნებოდა, სქლად დაუარეს ნახერხი.

ქვეყანას ორმხრივი მზე ფენებოდა — ბრუნდებოდნენ და ბრუნდებოდნენ სახნაოთელი ნაომარი ქარისკაცები, და ნამდვილი მზე, — უჩრეულოდ ჩახაზა, ალერსიანი. წლობით წალმუნლი, საქმეში ჩახვეული მუშები წელში იმართებოდნენ. შედარებით ადრე გამოსულნი ქარხნიდან (ზეგანაკვეთური სამუშაო საათები დაუკლებს), საჟიდაოსთან ჩერდებოდნენ, წყალს ალევინებდნენ თვალსა და გულს.

აქ უკვე ხალხის კარგა მოზრდილი წრე იყო ხოლმე გაკეთებული. ქალებიც იყვნენ, ქალიშვილებიც და ბავშვებიც. მოდიოდა ორი მდილიციელიც, ხალხში ისინი ყოველთვის ჩანდნენ. მოპყავდათ კიდევ ორი — მედლოდ და მედლუდუკი. წრეში ტრიალებდნენ ჭიდაობის გამძლეონი, ჭილდომებივით დაქონდათ დაქონძილი საჭიდაო ჩოხები. გამოსულელთა უმეტესობაც ღიმილით, მართლაც ჭილდომებულვით გამოდიოდა წრეში, თავიდან — პატარები, მერე და მერე — უფრო დიდები, საჭარე ბიჭები, კაცებიც. ერთი გამძლეული გამოცხადებდა მათ გვარებს, ძალიან ამაყად მათ სამუშაო სამჭროებს, პატარებზე — მამების საამქროებს; — თქვენ დაუკათო! — თითქოს რაღაცას ახდოდა ცოტა უმედილულებზე მსხდარ მედლოდ-მედლუდუკს და ის მედლოდ და მედლუდუკი თავიანთ საქმეს იწყებდნენ. უკრავდნენ, რას უკრავდნენ ცდილობდნენ, მათ არ ჩამორჩნოდნენ

მოკიდავეებიც — ფიცხობდნენ, მკაცრობდნენ, გაჭირვებისას ცისკენ ატრიალებდნენ თვალს; სიცილით, ყუინით, გამამხნევებელი შეძახილებით ტოკავდა წრეც, და იყო მოურთველი, მოუკაზმავი, მაგრამ მაინც მართალი ზეიმი.

წრეში გამძლეულად ხშირად გამოდიოდა ხოლმე ერთი ძველები ბიჭი, იულონი — ქარხნის ლაზათი საქმით, თავდაპირვით; სულ გამოუვინელი იყო მისი დიდი სურათი. გაწვევის დრო კარგა ხნის ვადაცილებული ჰქონდა,

თუ გოგო, მისკენ რჩებოდათ რგალო.

ერთხელ წრეში ვიღაც გლდანელმა ჩადგნენ ჭავჭავად — რაღაც ვერცხლისფერდაკრული ფორმებიც. ვათ, სახეები განათებული ჰქონდათ, ლონივრად უკრავდნენ ტრეს წვეილთა მიერ ჭიდაობის დამთავრებისას. ხმა გამოვიდა — არეული, უნდობელი: ერთი გლდანელი იულონს იწვევს მოედანზე. ის გლდანელი წინაც წამოაყენეს, დაბალი იყო, განიერი, ოკრობოკრად ნაგები, მწი-



მაგრამ ქარხანა ჯერ არ უშვებდა ჯარში. მხოლოდ ერთხელ ებიდაცა ამ მოედანზე, სამი გაეშაბა სასტიკად, უკვე საქალაქო ასპარეზობაზე იყო გასული და აქ აღარ მონაწილეობდა ჭიდაობაში. ხელმძღვანელობდა კი — ამაყად.. ბებები ჰქონდა, წელი, ყელ-კისერი, ჭოჩობი, უკეთესს ვერ ინატრებდა ქართველი კაცი. ციმციმით ატარებდა თავის ღირსებებს. იზვიათად, რომ უარი ეთქვას მიხვან არჩეულს წრეში ვადმისვლაზე, დააყენებდა მოკიდავეებს, თვითონვე გამოაცხადებდა გვარებს, აიწინებდა ხელს მაღლა, დაუკრავდნენ მედლოდ-მედლუდუკი, ეცემოდნენ მოკიდავეები ერთმანეთს, უკან-წასული იულონი კი მკერდზე დაწყობდა ლამაზ ხელებს. ქალი იყო

თური, დიდბირიანი. იულონს თავდაპირველად თითქოს აინუნშიც არ მოსვლიდა იმათი გამოწვევა, ის სხვებს სთავაზობდა საჭიდაო ჩოხებს, მაგრამ ბოლოს მეგობრებზე მოხვედრულა იულონმა ხალათი აძირო, ღიმილით გაუყარა მკლავები ჩოხას და ისე წამოვიდა ხელდაწვეული, როგორც რომ ახალგაზრდა ღმერთი. გლდანელი-სათვისაც ჩაცემიათ ჩოხა, ჭაპანივით დაწნულ მკლავებზე, სახეზე, მთელ სხეულზე წითელი კარტოვლის ფერი დაჰკრავდა. მთლად წითელი პირით იცინოდა. ღრიანელში ვეღარ გავიგე ვგარი, ისე მოვიდა ხმა, კულა გლდანელის მოგვარეაო. მედლოდ-მედლუდუკმა დაუკრეს, სულ გაგიჟდნენ. მოკიდავეებმა ხელი ჩამორთვეს, რაღაც უთხრეს ერთმანეთს, ცო-

ტა დაიწიეს, წაიღუნენ, უცხად შეიბნენ, წამები, წამები და იულონმა მაღალი მოგვერდით წამოიღო გლდანელი, მაგრამ გლდანელმა რადიაციური ბრენი გააკეთა და ძირს იულონი აღმოჩნდა, თანაც ცალი ბეჭით. წრემ ამოვიმინა, ატორცმანდა. ვილაციები შევივადუნენ შიგნით, არაფერი ისმოდა, გარდა „არ არის არ არის!“ და ბოლოს არ ჩათვალენ. გლდანელი დიდი წითელი პირის თახთახით უახლოვდა იულონს, იულონი, ცოტა ფერმეცხლოლი, მეხებით იყო. გამწარებულნი ეცენ ერთმანეთს, გათრ-გამოაბრების, ნერვიულობდა, ტორცმანობდა წრეც. და როგორ მოხდა, ვერ გავიგეთ ვერცერთმა, ჩვენს თვალწინ პაერში რკალი მოხაზა იულონის ფეხებმა. წრე არია. ხელგებწამოშვებით გლდანელი საკოცნელად მიიწვიდა იულონისაკენ. იულონმა სილა გაულაწუნა ყბაში. გლდანელმა ხედლები განწე გაშალა, დაიღუნა, თითქოს მადლობა გადაუხადა, მიბრუნდა. იცინოდა. შემოხვეულვებმა გაცივანეს უკან. ჭიდაობა დამთავრდა, წრემ დაშლა დაიწყო.

იმ დღის შემდეგ საუბრად მოვიდნენ იულონი აღარ მინახავს. წლები გავიდა. ერთხელ ასე წავაწყდნ ტრამვაის ბოლო გაჩერებასთან: ჩაცუქებული იყო დიდი ხის ძირას, ძლიერი, ღამაზი, და ორ პატარა ბიჭს აუიღავებდა. სახეზე დიდნი კმაყოფილების ღიმილი ეფინა. ბიჭები ტყუპები იყვნენ, ოთხ-ოთხი წლისანი, შინ კიდევ ორი გოგონა ჰყავდა თურმე — ერთი ექვსი წლისა, მეორე — ორისი. ბიჭებს ხე ხეები და ბაღახეები უყვართ. მოვლევართ ზოლმე და ვლდაბუცობთ, ვის რა გაგვახარებს, აესეს!..

თავისთვის ბანები

1908 წელს სულკურთხეულმა ეკვთიმე თაყიშვილმა შემთხვევით შეიტყო ახალგაორში (1934 წლიდან — ლენინგორი, 1990 წლის სექტემბრიდან — ისევ ახალგორი.) აღმოჩენილი უნიკალური განძის თაობაზე. დიდგვაროვანი ქალის სამარხში (V-IV სს. ძვ. წ.) აღმოაჩინეს ოქროსა და ვერცხლის ნივთები — სასაფეთქლები, საყურებები, ყელსაბამები, ბეჭდები, ფიალები... ღირსეული მამულიშვილი მამუნივე დაინტერესდა აღმოჩენით, თვითონვე ჩავიდა ახალგაორში და დიდი ვიი-ვაგაზებით შეაგროვა და შეისყიდა ძვირფასი ნივთები.

ახლა ახალგორის განძი აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია და საქვეყნოდაა ცნობილი.

მაგრამ ჩვენ ახლა ახალგორის განძზე კი არა, სხვა ფასეულობაზე ვისაუბრებთ — აღამიანზე, რომლის პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის დღედღამ ზრუნავს ახალგორის საბავშვო სახლი.

ახალგორის საბავშვო სახლის საფუძველი 1932 წელს ჩაეყარა.

1987 წლის მიწურულამდე საბავშვო სახლი ხის ძველ შენობაში იყო მოთავსებული, 1988 წლის იანვრიდან კი ორსართულიან კაპიტალურ კეთილმოწყობილ შენობაში დაიღობინა.

ახალგორის საბავშვო სახლის იმთავითვე დაწყდა და მერე მტკიცე ტრადიციად იქცა: ყველაფერი ბავშვებისათვის. აქ. პართოცე, ყველაფერი კეთდებოდა საიმისოდ, რომ მოზარდს ქეშმარიტად ოჩახურ, თბილ, შინაურულ გარემოში ეგრძნო თავი, ნაკლებად ფეჭრა შშობილურ კერაზე, რომელიც იძულებული გახდა, ამა თუ იმ მიზეზით საბავშვო სახლ-

ში მიეყვანა თავისი სისხლი და ბორცო.

ტრადიცია — ტრადიციად. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ახალგორის საბავშვო სახლში ზოგი რამ მაინც შეიცვალა. რასაკვირველია — ისევ და ისევ ბავშვების სასუქთოდ და საკეთილდღეოდ. თუ, მაგალითად, 1985 წლამდე ერთი ბავშვის ყვებაზე ღრუმი 83 კაბიკი იხარჯებოდა, მერე ეს თანხა 1 მან და 10 კაბიკამდე ავიდა, ამჟამად კი 2 მანეთია. ასევე, თუ აღვცოტათი ჰქრდა ბავშვების შემოსევა და აღმინისტრაციას იძულებული იყო, ტანსაცმლის ერთიანი ფორმა სავალდებულოდ გაეხადა, ახლა, პირიქით, მოზარდებს არაფერ უმლის, ის ტანსაცმელი ჩაიცვას, რომელიც მას უნდა. საბავშვო სახლის ახალი დირექტორის, ბატონი როლანდ ივაშვილის მცდელობით (იგი აქ 1987 წელს გადმოვიდა), აღსარებულვებს ყოველწლიურად ეძლევათ ახალთახალი სასკოლო ფორმა. სახლის ახალი დირექტორი და მთელი მომსახურე პერსონალი ცდილობენ, მეტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა მიანიჭონ ბავშვებს. გაეჭმდა მკაცრი რეჟიმი და თითქმის პოლიციური ზედამხედველობა — ახლა ბავშვებს შეუძლიათ, თავიანთ ოთახებში მიიღონ მშობლები, ძმა, და, ნათესავი, ის კი არა, თუ შორიდან ჩამოსულები არიან, სასტუმროში არ გაეშვან და თავიანთ გვერდით გაათავებონ ღამე და მოხდა „სასწაული“ — აღსაზრდელეებში გაცილებით უფრო ამაღდა დისციპლინა, გაიზარდა პასუხისმგებლობა. ისიც აღსანიშნავია, რომ აქ გვერდიგვერდ ცხოვრობენ და იზრდებიან ქართველი და ოსი, გერმანელი და უზბეკი, მოლდაველი და ბერძენი, რუსი, სომეხი ბავშვები.



საბავშვო სახლის ბინადართ (მათი რაოდენობა 70-სა და 100-ს შორის მერყეობს) 35 თანამშრომელი ემსახურება. ღირექიას ყოველმხრივ უდგანან მხარში ექიმები (პედიატრი და სტომატოლოგი), ექთნები, აღმზრდელები — მანია პავლიაშვილი, ცისანა დადიანიძე, ზემა ჭიოგვი, გოგი გათენაშვილი და სხვები. ბავშვები 50-ადგილიან გაკარალებულ სასაღილოში იკვებებიან, ყველა სააღმზრდელო ჯგუფის ოთახში დგას ტელევიზორი, კლუბში (იგი ასადგილიანია) — ტელევიზორი, რთილი და პიანინო, საბავშვო სახლს აქვს საკუთარი ვიდეო და კინოდანადგარები, აგრეთვე ღიდებული ფოტოლაბორატორია, სადაც ბავშვები ფოტოსაქმეს ეუფლებიან. მოზარდები სწავლობენ მუსიკას, სიმღერას, კრეკერვას, ქსოვას. ანია გუსევა, ნინო ზანგური და ზოია ყოჩიშვილი, მკვალითად, გამოცილი მქსოველებს არ ჩამოუყვარდებიან.

მოზარდებისათვის ყველა პირობა შექმნილი საიმისოდ, რომ შეიყვარონ შრომა. საბავშვო სახლს აქვს თავისი დამხმარე მეურნეობა — მიწის ნაკვეთი, სადაც მოჰყავთ სხვა-

დასხვა ჯიშის ხილი — ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ტყემალი... პირს ზომიერმირიულებენ თავიანთ შრომის ნაყოფით, ჰყრიან ამისა, მოსავლის ღიდ ნაწილს კავიდან და აღებულ თანხას ისევ საბავშვო სახლს ახმარენ. აგერ, მესამე წელია, საფუტკრე მეურნეობაც გაიჩინეს, ამჟამად უკვე 40 სკა ფუტკარი ჰყავთ და საბავშვო სახლი მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილია თაფლით.

მოზარდები მოუთმენლად ელოდებიან ზოლმე ზაფხულს — ღიდი დასვენების მოშენიერ ეამს. წლებულს ისინი დასასვენებლად იყვენენ კოჯრის, ქეოშხეთის, კინდლის ბანაკებში. ამ ბანაკების საგზურები (37 საგზური) მთა „ინტურისტის“ პროფკავშირების, კერძოდ, ქალბატონი ნათელა დლუშუაშურის მცდელობით გამოუყვეს. ქალბატონ ნათელას არც თბლისში ყოფნისას მოუკლია ყურად-

ღება ახალგორელი მოზარდებისათვის. აქვე იმასაც გეტყვით, რომ საბავშვო სახლის 8 აღსაზრდელმა (ა. ტოროშელიძემ, შ. მეშველაშვილმა, ზ. მერაბიშვილმა, ნ. ზანგურმა, შ. და გ. ილურძიძემ, რ. ზანგურმა და გ. შვიგოშვილმა) შორეულ ესპანეთში იმოგზაურა და მდიდარი შთაბეჭდილებებით გამიღიდრებული დაბრუნდა. ნიშანდობლივი და სასიამოვნოა, რომ საბავშვო სახლის ყოფილი აღსაზრდელები არ ივიწყებენ თავიანთ მეორე ოჯახს, ზმირად ეწვევიან ზოლმე მას, ხანაც წერილებით ესიყვარულებიან. ასე იქცევიან, მკვალითად, ევა ილურძიძე, რომელმაც თბლისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა, ამჟამად გარში ცხოვრობს და ორ შვილს ზრდის; ნუნგზარ კახიაშვილი, რამაშ ყველაშვილი და ჯუმბერ საბანოვი, რომლებიც მ. თოიძის სახელობის საბ-

კვადარგი გოგი ბათიანაშვილი და საბავშვო სახლის ნორი მსტაკაბი.
ღიდილით ბანათეაულსახეები... წინ საინტაკა.
რასო ლაშქრობაა.



ხატვრო სასწავლებელში, ხეხე ქრის ფაკულტეტზე სწავლობენ; ირმა იმერლიშვილი, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლე; ჩემალ ბურიგი, რომელიც საზღვარსა და სასწავლებელში სწავლობს. ყოველ ზღვხულს თავის შრომობიურ საბავშვო სახლში ჩამოდის, წყლს კი ქვიშხეთსა და კონდში ახლდა მისწავლებლად ნორჩ აღსაზრდელებს; ოლია ორლოვა, შორეული ფრენის სტიუარდესა; ეთერ ჩერტოკი უმალდესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ საერთოდ დაუბრუნდა საბავშვო სახლს და ახლს ნორჩების ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება.

ახალგორის საბავშვო სახლზე მონახობის სრული ვერ იქნება, თუ მისი უნიკალური მუზეუმი არ ვახსენებ, სადაც ნორჩი აღსაზრდელეების ნახელავი ნაირგვარი ნივთია გამოფენილი. აქ ყველაფერს ვეტყობა შრომის ოთახის ინსტრუქტორის, თავის საქმეზე საოკრად შეყვარებული კაცის, გოგი გათენაშვილის ხელი (სხვათა შორის, მისი შვილი, მხატვარ ვალიკო გათენაშვილის გაფორმებული საბავშვო სახლის შენობის ეგესტბიოსელი). მნახველისთვის თვალს იტაცებს ისტატურად, მართლაც პროფესიულ დონეზე ნაკეთები ქართულ ჩუქურთმებიანი ტახტები და საკარცხულები, ხონჩები და სამაროლები, სკივრები და ტაგრუცები, თაროები და სამფეხა საქამები, მაგიდები და შანდლები, ტახლები და სახინჯლები...

ათვლიერებ ამ ნამუშევრებს და უნებლიეთ ვიჩნდება ფიქრი, რომ იმისთვის, ვინც ყოველივე ამის შემოქმედია, სულაც არ არის აუცილებელი ფარტინა ქალაღი, დიპლომი, რაღაც ის, ვინც ეს შექმნა, უკვე სრულფასოვანი, ჩამოყალიბებული ოსტატია, ისეთივე დონის ოსტატი, როგორისაც მისი წინაპრები, ხალხიდან გამოსული უნიკალური შემოქმედნი იყვნენ. ამის დასტურია, თუნდაც, ე. ახვლედიანის სახ. ბავშვთა

❀
**ქოქეღი
 ბავშვი
 თახისი
 საბავშვო
 ბავთალი.
 ჩაქარტმა
 ჩაქარტმა
 ეხლარტმა,
 იქმნება
 ახალი
 შემდგარბი.**



❀
 სურათების რესპუბლიკურ გალერეაში გამოფენილი ექსპონატები და აშშ-ში ბავშვთა ფონდის მიერ გაგზავნილი მუღმიმოქმედი ექსპონატია — ხონჩები, სკივრები, ხელყოფები, სამაროლები, სახინჯები...

თავიანთ მისწრაფებასა და საქმიანობაში — აღზარდონ მომავალი საქართველოს ღირსეული მოქალაქე, სრულყოფილი პიროვნება, ერთი სიტყვით, ადამიანი — საბავშვო სახლის თანამშრომლები მართონი არ არიან. აღსაზრდელებს არ აკლით სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ ცალკეულ პიროვნებათა ყურადღება. მით შეფთობა თბილისის საწარმოო გაერითანება „ელექტროაპარტბ“, სამხრეთ ოსეთის ელექტროქსელების სამმართველო, ახალგორის საკონსერვო ქარხანა და სატყუო მეურნეობა... ქალბატონი

ნათელა ლღუშაურის დამზარებით „კავგვირამშენმა“ საბავშვო სახლს 10 ათასი მანეთი გადაურიცხა.. ახალგორელთა დეპუტატმა მერაბ ბერტინიშვილმა მოზარდებს საკუთარი თანხით შეუძინა ხელთამანები, უცხოური ქუდები, გეტრები, შალის წინდები, ტბილეული. ბატონი მერაბი და მისი მეუღლე საბავშვო სახლის ხშირი სტუმრები არიან.

● ახალგორის საბავშვო სახლი ამჟამის იმით, რომ მისი აღსაზრდელეებისაგან არავის შეურტყვენია თავისი დიდი ოჯახის სახელი, ყველანი პატიოსან, მშრომელ, მართლად დამიანებლად დაიზარდნენ.

ეს კი, მართლაც, დიდი და ძვირფასი, ყველა განძზე უძვირფასესი განძია.

ლალი ცაქიბიშვილი

აღ, ნორჩ ხელმარჯვა ოსტატბი
 ჯოგირითი ნახლავბი.



ალექსანდრე ლორია

მხატვარი
გვამალ ლოლუა
მ თ ხ რ თ ა ა



ე

— როგორც რაღაც უჩვეულო, აქამდე შეუცნობმა განცდამ აიყოლია. ამსუბუქდნენ, გალადნენ, სულით ამაღლდნენ, არაფერზე ფიქრობდნენ, არაფერი აწუხებდათ, არაფერი მოიღრბდათ, თითქოს მარტო ისინი, ორნი იყვნენ ამ ქვეყნად და ეს ქვეყანაც მათთვის იყო გაჩენილი. რა ბედნიერებაა ასე ერთად ყოფნა!
რა ახლოსაა მზე, ცა, ღრბლები!.. ყინვარებს ხელით მიწვდებიან კაცი.

— მაი-აა!... — კიდევ ერთხელ შესძახა მთებს ვაჟმა და უცებ გოგონას შემოხედა, — იცი, რა გადაწყვიტე? — რა? — თვალბში შესცივინებდა ქალიშვილი.

— ერთი ადგილი ავირჩიე სამოსახლოდ... სულ მარტო რომ დავჩრქე, მე აქედან გადამსვლელი არა ვარ! მაიკო მთიარულბა. ისევ ცხოვრებისეულ პროზას დაუბრუნდა და დაინანა, ასე მალე რომ გაქრა ნეტარი წამები. მინც ეს იყო ეს?! რა უცნაური ვრჯოლა, რა სასაწყურლებრივი სიტბო, რა ნეტარება!.. ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა ასეთი, რა გრანბა და დავუფლა იმ ერთ წამს ორივეს!.. და ახლა — ისევ ეს ავბედითი სიფხვილი თავისი საზრუნავითა და დარღ-ვარაობით. თანაგრძნობით მიაპყრო თვლები ვაჟს და გულბოძილად ჰკითხა:

— ვითომ მარტო რად დარჩებ? — რა ვიცი... — ზენეშით ჩაღუნა თავი გელამ. — ისე, სიტყვაზე ვთქვი. — ერთბაშად კვლავ გამოეცოცხლდა, გამომცდელად ჩახედა ქალიშვილს თვალბში. — გინდა, გაჩვენო?

— მინდა, — თავი დაუქნია მაიკომ.
— წამოდი! — ენერგიულად შებარუნდა და ბილიკს გაჰყვა.
— საშოში არაა ზედ უფსკრულზე? — შერტთა ქალიშვილი.

— გავიაროთ, — მტიციელ განაცხადა ბიჭმა, — უნდა მიჩჩეო უფსკრულის თავზე სიარულს... წამოდი!

— საცა შენ — იაჟე მეცი!
იმგვიაროდ იყო ეს ნათქვამი, ვაჟს ასი გული მოეცა. წელში გასწორდა და გვერდულად, ნელ-ნელა, პატარა-პატარა ნაბიჯებით შეუყვავა ქარაფებს.

ერთი მხრივ ციხის მაღალი კედელი აზიდულიყო, მეორე მხრივ უფსკრულს დაეღი ხანა. გელა ფრთხილად მიდიოდა გვერდულად, რომ მაისათვის დაემდებებოთ ედევნებნა თვლი. მთავარი იყო, არ შეშინებოდა. მხოლოდ ერთი ადგილი შეხვებდა განსაკუთრებით სახიფათო. შიშმა არ აიტანოს, გელამ გასამხნეებლად უფხორა თვალბდაცეცებულ, დამაბუღ მაიკოს:

— რამდენჯერ გავსულვობი აქ ბიჭებო, ვინ მოთვლის... გოგოებიც ბევრჯერ გამოსულხან.

— მე პირველად ვარ, — ხმა აუტყაქალდა მაიკოს და თავს ძალია დაატანა, ნაბიჯი გადაეღდა.

როგორც იქნა, ფართო ფლატეზე გაეინდნენ და თავისუფლად მოითქვეს სული. ისევ ხალისიანად გადასვლდეს გორაკებს. ქვემოთ, ნეგში შარავზა მიიკლანებოდა. მიაას გაუყვიროდა, აქ ეს რა ვზა გადის.

— ჩვენი ვზა, ვერ იცანი? — გაეღიბა გელას. — კობურას ხევი არ გავიგია?
— როგორ არა, კარგი წყარო მოდის იქა. მამაჩემი ისე არ ჩაუვლის, მანქანა არ შეაჩეროს.

— ჰო, იმ წყაროს თავსა ვართ ახლა.
მაიკოს გაუყვირა, ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, ასე ახლოს თუ იყო ამ წყაროსთან, რომელიც სამანქანო გზით საკმაოდ შორსაა სოფლიდან.

ციხეს მკორე მხრიდან რომ შემოუარეს, გელამ გეზი ხელმარჯვნივ აიღო, სოფლის საპირსპიროდ. ცოტათი ჩამოივარკეს და ერთ შემალბულზე ადგილას გაჩრდნენ. საიდანაც ზეოსტყულებით მოჩანდა მათი სახლები და სოფლის შარავზის დასაწყისი. შორს, აბმოსავლეთისაკენ მდინარის ერთი პატარა ტოტი ჩანდა რკალად, რომელსაც კობრივ გასდევდა.

— აი, აქ დავცემ ჩვეს კარავს! — ბათეტიკურად გამოაცხადა გელამ და უძლვეელი მხედართმთავარივით დაჰყარა ფეხი მიწას.

მაია აესივინდა. შეხედა მეგობარს და უცებ მოეჩვენა, თითქოს მის წინ დიდი და ძლიერი, მხნე და დიდებულნი ვაჟკაცი მდგარიყოს. უცებ შეწყვიტა სიცილი და უხეზურად აიტყია. შეფარვით შეთავალოთრა იქაურობა — ამ ჯოტბი, გაუტრეხელი ბიჭის მომბავალი სამოსახლი, და აღერით აევის თვალბში...

თითქმის ჩამობნელებული იყო, სოფელში რომ შევიდნენ. ხალხი უკვე საქონელს აზინავებდა და საეზნემოდ ემზადებოდა.

გელა შეშვდა და რაღაცის თქმა დააბირა, რომ უცებ ბურჩები შეინბრა და კბილების კრეკით ტუჩურა გამოძვრა იქიდან.

— ჩიტი ბუღდში! — სიცილით თქვა და ამბანავებს მიუახლოვდა. — თქვენ რა, მინც არ იშლით ერთად სიარულს, არა? ხელბრა ერთი გული დათვისტორას! რომ დღამდა, ვერ ვეღვათ? — მეოე სერიოზულად მიუბრუნდა ქალიშვილს. — გოგო, იცი რა დღეშია მამაშენი? ახლანამ ამოვიღა და რომ ვერ ვნახა, გადართია... ახანზარებს მთელ უბანს!.. მიდი ჩქარა, ხალხი არ დახციოს!

— ვიშმე! — შეუქნდა გული მაიკოს, უახზოდ მიმოიხედა, სიტყვა არ ულოქვამს, ისე გაექანა შინისაკენ.

— შენ აქ სიდან გამოტყვერი? — ეკვით შეავლო თვალი თანჯალასკვლს გულამ.

— ჰაი... — იმან მსუბუქად ჩაიჭირქილა, ცხვირის წვერი მოიქექა და ეშმაკურად ჩაუტარა თვალი: — რაო, უფსკრულზე რომ არ ატარო გოგო, სხვა ადგილი ვერ ნახე? მე მეგონა, თავს იხლავდით ორივენი.

— გვითვალთვალენბი?
— მტერა რა ჩარა იყო?.. შენს სამებნელად წამოვედი. გაეკითხა-გამოგვითხე, მითხრეს, იქით მიდიოდა მარტო-კოო... მეზე, ერთად რომ დავინახეთ, ხელი აღარ შევშალეთ. მადლობელი არა ხანა?

— კარგი ერთი! — შემოიწყრა ტუჩურას გელა, — რას დამეძებდი, ჩემთან რა დავკარგვია?

— დირექტორს უნდა შენი ნახვა.
— დირექტორს? — თვალები ჭყიტა გელამ. — რა ხდება?

— არ ვიცი, დიდი ამბავი რომ ტრიალებს, ცხადია. ვილაც კაცები იყვნენ ამოსულები. საბჭოს თავმჯდომარე და რაიკომის მეორე მდივანი ახლდათ. ორი კაციც იყო, სულაც უცხოები, ქართულს ვერ ლაპარაკობდნენ... მიიარ-მოიარეს მთელი სოფელი, ვაცხარებით ლაპარაკობდნენ... სოლიკო მასწავლებელი იგრე აღლდა, არასოდეს ეგვით არ მინახავს.

გელამ დირექტორთან შინ მისვლა გადაწყვიტა.

— ლამე რაია?
— რა უშავს. აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა აყოს, ტუჩურა!.. ის კაცი ტყუილთურაოდ ჩემს მეზნას არ დაიწყებდა. წავიდეთ!

ორივენი აჩქარებით დაუყვნენ შეუკებს. დირექტორის სახლი სოფლის განაპირას იდგა, სკოლასთან ახლოს, იმ რამდენიმე სახლს შორის, რომელთაც წყალი არ შედგომა, და კარშიდამოც როვიანად გამოიყურებოდა.

ტუჩურა ჭეშკართან დარჩა და ერთი სული ჰქონდა, როდის გამობრუნდებოდა კაცნა დირექტორის სახლიდან, რომ ჩქარა გავეგო, რა სამე ქქონდა. დიხანს არ მოსწევია ლოდინი. გელა მალე დაბრუნდა აფორიაქებული და მოლოდ აშლიო, ხმას ვერ იღებდა, ოფლი ასკდებოდა შუბლზე. გამომყვიო, ხელით ანიშნა მამაკაცს და შარავნაზე ვავიდა. არც ტალახს ერიდებოდა, არც ტბორებს, პირდაპირ, უანგარიშოდ მიაბოტებდა. ტუჩურა ქაქანით მისდევდა, ემუდარებოდა, ე ბიჭო, მითხარი, რა მოხდაო. გული რომ გაუწყალა, გელა შედგა, ღრმად ჩაისუნთქა პაერი და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, აჩქარებულად აღაპარაკა:

— ამალამ ძილი არ გვიწერია!.. ყველას ვისაც გული გვეწვის, ახლა გვემართებს უფდალდებ! ყველანი უნდა გავაფრთხილოთ, ბიჭები ამალამე შევიკრიბოთ ჩვეთთან, სხვები დილაადრიან უნდა გამოვიდენ დირექტორის სახლთან. სამუშაო ტანსაცმელი ჩაიცვან... ხვალ სწავლა არ გვექნება.

— რა იყო, ბიჭო, რა მოხდა, არ იტყვი? — პირდაღებულ შეისჩერებოდა ტუჩურა. ვერაფერი გავეგო.

— სახლის ვადატანაში უნდა ვუშველოთ... მანქანებიც ამოვლენ დილაადრიან... სხვა ხახიცი იქნება...

— ვერაფერი გამოგია, — მხრები აიჩეჩა ტუჩურამ, — საიდ უნდა გადავიტანოთ სახლი, ასე უცებ რამ გადააწყვეტინა?

— აი, იქ უნდა გადავიტანოთ, ჩვენ რომ ვურჩევდით სოფლებს გადასვლას.

— ჭი მაგრამ, მაგისი სახლი ხომ მშრალშია?

— მთელი სოფელი იქ რომ გადავა, მაგისი სახლი ხომ არ დარჩება აქ განმარტოებით?

— როგორ თუ მთელი სოფელი?!



— ჰო, მთელი სოფელი!... პირველი ის გადადის... გა-
დაწყდა, მერე კი, არავის იმ დავისთვის, დავლი სუ-
ლა ჩვენს ბუღის და მეც იმ დავებში მარტოკა...
საუ უნდა ჩნას ყველაში ვინც ასე არ იზამს, ქვეყნის მო-
ლაღობა გამოცხადდება!

ღლით უჩვეულო ამბავი დატრიალდა თორთო: ბა-
რებით, ნიჩბებით, წერაქვებით, ძალაყინებით, ჩაქუჩე-
ბით, ცუკლებით მიიღობდნენ და მიიღობდნენ გოგო-ბიჭე-
ბთ სოფლის შეტევაში ხმაურითა და შეძახვლებით.

ღირსეულობის ეზოსთან აკრებიდნენ. ორი მანქანა
უკვე სახლს მისდგომდა და ავეჯით იტვირთებოდა.
საქმეში გაურკვეველი გულგაცობა გაკვირვებული მოე-
ხებოდა ამბის გასაგებად. დანამდვილებით არავინ
იცოდა, რა ხდებოდა. იდგა ერთი აურხაური და ზრიო-
ლი, გაკითხვა-გამოკითხვა, ბრძანება-განკარგულებები,
დავლებების მიცემა, რჩევა-დარიგებები, ტრიოლებმა
ჭირი თუ მარტოდა.

ბავშვების ერთმა ნაწილმა სოფლის შემოსასვლელში,
ელექტრობობის საბირისბირად, გზის მეორე მხარეს მა-
ღალი ჰოკი ჩაარბო, გზის გარდაღარდმო მთელი ღამის
ნაჯახივრდო, ზეწურებისაგან შეწყველი ღიდი ტრანსპარან-
ტი გადავიდა წარწერით: „გინც სამუდამოდ ტარვებს სო-
ფელს, სამშობლოს მიღალატე!“ ასეთივე წარწერები
ხის ფირფიტებსა და მუყაოს ღიდი ნაკრებზეც გააკეთეს
და მთელი გზის გაყოლებზე გააკრეს აქა-იქ.

ბეგრის სკებეტურად შეხვდა ამ ამბავს. არ იცავდა-
დენ — ასე ჰპაპარდა სახლის გადგანა ვის გაფრთხი-
ლდა, მაგრამ როცა მოპირდაპირე მხარეს, გზის გადაღმა, მცირე
გაეგავებაზე ბუღლოზური ამხაურდა, ყველამ დანიანა,
სოლიკო მისწვლებელი არ ხუმრობდა...

გელა შინ გვიან ღამით დაბრუნდა — დალილ-და-
ქანცული, ვაიხვრილი, გაოფლიანებული. ჭამის თავიც
არ აქონდა, მთი უთქვია, ბიცოლაშისი ენადაუყენებ-
ლად ამქონდა და ცხარებულა:

— თავქარიანი ხარ! არაფერი გაგეგება... ეს რა ამ-
ბავი წამოიწყეთ? მთლად აურითი ყველაფერი. ერთი
კარგა მაგრად უნდა გაგახობოთ კაცმა ყველაში... თქვენ-
გან არ მივიკის, მაგრამ იმოდენა კაცი რამ გადარია?

— ბიჭო, თქვენ არა ხუმრობთ, გეონი, აი! — ჩაერია
ლაპარაკში ბერუა და შვილიშვილი ინტერესით შეათვა-
ლიერა. — ვითომ, გამოგვით რამე?

— გამოსულა და ევაა! — მტკიცედ გამოაცხადა გე-
ლამ. — ბალაგრი გატროლია და საირველი უკვე ჩავას-
ნით. სახლს სახურავი ავხადეთ... ხვალ კარ-ფარვებს
გამოვარიდებთ, იატაკის აყრას შეეუღლებით... ქვა და
ბრეში უმაოდავი მოიტანეს მანქანებმა. მეურნეობიდან ბრი-
ვადირო ამოვიდა, ყველაფერი მდგენიანებით. კვირის
ოციოდენ კაცი ამოვა... და ამბობ, „თუ გამოვავითო?“
მთელი სოფელი ფენზე უნდა დადგეს! ერთმანეთს უნ-
და დაეხმარონ ყველაში თორთო არ უნდა დაიციოს!
გესმით თქვენგან? არ უნდა გაკრეს თორთო!...

— მები კი დავაყარეთ თქვენცა და აქ დაჩრმომსაც!
— დაიწყებდა რძალმა და სამზარეულოში გაუჩინარდა
ბუღლოზ-ბუღლოზით.

პაპა და შვილიშვილი მარტოდ დარჩნენ. ვახალისე-
ბული ბერიკოც ეტლას მოუტრუნდა:

— მამო, გადაწყდა, არა? კი მაგრამ, როგორღა მოვ-
ვარეთ ეგ საქმე, პა? ყველა წინააღმდეგი იყო და...

— ჰო, ყველა! ღირსეულობით! მაგრამ ისეთი რამ მოხ-
და, სხვა ვაია არის!

— მართლაც, შეიძლება უსულოდ, ბედის ანაბანდი
მიავლო ძველსველი სოფელი? ბედის ანაბანდი ვინ ჩი-
ვის, როცა ვიოცად ვადამითელი მოდის და შენს ნასახ-
ლარს ენატრონება? მერე, ერთი ფეხი ფეხს მიუთხდის
მორხა, ვეღარ ამოავადებ აქედან, სხვასაც უნდა მოუხდეს
თავის ტომისა!

იმ დღეს სპეციალურად მოაკითხეს დირექტორს რა-
ინობიან. რაიკომის მეორე მდივანსა და აღმსარების თა-
მჯდომარის ვიოც-ვიოცად მოპოვოდნენ.

რაიკომის მეორე მდივანმა მკაცრად შეუტია სოლი-
კოს, ისეთი ამბები მოგვდის თქვენგან, კარგა არ მოს-
წამებსო.

— მაინც, ვინ არის ეგ თქვენი გელა ძირაშვილი?
ვერ უნდა მოერიოს სოფელი ერთ ბიჭს? ან შენ რა გა-
გიტირდა ისეთი, ოთხმოცამდე ბავშვისთვის ვერ მოგი-
ვლია?

სოლიკეს ეცნობა საყვედური, მაგრამ არაფერი უთ-
ქვამს. მასზე გვირგვინით უმცროსი იყო მდივანი, მაგრამ
მაინც არ აცდარა შეპასუხება. ის კი ვანაგრძობდა:

— ჩვენ, ბატონო, რა შეგვეძლოს, ყველაფერი გაე-
კეთეთ, აღმსარებმა საუკეთესო ნაკვეთები გამოვიყი-
ტე სხვადასხვა სოფელში. კარდისტაც გაღლებენ... მანქანე-
ბიც ჩვენზე იყოს! მტერი რა გინდათ? რას აწრიალენ
ეს ბავშვები? სად არ დაგზავნა წერილობით... რა გაითო?
ამ წყალს ჩვენ ვერ დავაშრობთ, ადგილი თქვენცა და
გადალით, სადაც გეუბნებიან.

სოლიკომ არ იცოდა, რა ეპასუხა, ვერც ის გაეგო.
ბოლოს და ბოლოს. რა უნდოდა მისგან ამ პატრონის
ხალხს. ერთს კი მიხვდა — ბავშვების დაშოშვინებას მო-
თიხოდენ მისგან, მაგრამ ვანა არ დაწინარდნენ ისინი? მტერი
რა ქნის, ააღებინა ხელი წყნარობის აქციაზე. ბევრ
რამეში დაარწმუნა, ახლა პირსაც ხომ ვერ აუ-
რავს? მტერი რაღა უნდათ მისგან?

ამოსულებს ორი კაცი ახლდა თან — შავგვერდმანები.
სქელღუაშინები, მოღუშულები. ერთი უკვე ხანში შე-
სული იყო, მეორე — უფრო ახალგაზრდა, მხნე, ენერ-
გიული შესახადობისა. ლაპარაკში არ ჩაერულა. ეტ-
ყობოდა, არ იცოდნენ ქართული. უფრო სოფელს ათვა-
ლიერებდნენ, მოკრონება ეწერათ სახეზე.

— ერთი სიტყვით. — დამარჯვალა სათქმელი მდივან-
მა, — სოფელმა გადაწყვიტა, დაცლოს აქაურობა, და ბა-
რემაც დაცლოს!.. სოფლის კრებამ ხომ გადაწყვიტა?
რღა უშლის ხელს? — პასუხს არ დაელოდა, ისე მიუბ-
რუნდა უცხო კაცებს და რუსულად აუხსნა საქმის ვი-
თარება. არაშუქებდა, ზომ ზედდა, აქ აქაური ხალხი
ვერ გაზრებულა და თქვენ როგორღა ჩასახლებითო.

— ჩავსახლებით, ჩავსახლებით! — ხალხისი დღე-
თანხმა ახალგაზრდა.

— აი, თუ გინდათ, ის მიტოვებული ადგილები მოგ-
ვეცი, — ჩაუთოო სიტყვა მეორემ. — ყველაფერზე თა-
ნახმა ვართ... წყალსაც ჩვენ დავაშრობთ, სახლსაც
ჩვენ ვავშენებთ, მთავრობის არაფერი გვინდა... ოღონდ
ნება მოგვეცი, დავბრუნდეთ აქ.

გაშტერებული სოლიკომ ხან ერთს მიაჩერდებოდა,
ხან მეორეს და ვერ გარკვეულობდა, რას მოსწავებდა ეს.
აღმსარების თემჯდომარემ რაღაც უხეიროდ აუხსნა,
ისე, რომ კარგად ვერ გააგებინა.

ესენი ერთ დროს ჩვენც მხრად გადასახლებული
თურქების შთამომავლები არიან... იქ, საცა იყვნენ, აღარ
ვღგომებთ. ერთიანად გამოყარეს. ახლა დასუბივებით,
ჩვენს ძველ ადგილებში უნდა ჩავსახალობოთ. ჩვენ ჩვე-
ნი მიწა გვინდაო.

— როგორ თუ ჩვენი მიწაო?! — ვერ გარკვეულიყო სოლოკო.

— ჰო, ჩვენიო... ეგრე ამბობენ. ესენი იმათი თავაკეციბი არიან. დავატარებთ და ვაჩვენებთ, რომ ჩვენ ჩვენთვის არა გვეყოფნის მიწა და აბა, რა მიცეთ? მართალია, ცოდონი არიან, მაგრამ ჩვენი რა ბრალია? ჩვენ რა უნდა გქნათ? არა და, უმაღლეს მთავრობასაც კი მოსწონებას არ აძლევენ... ჰოდა, დავკვავს ყველგან: გასინჯონ, თავისი თვალით ნახონ, თვითონაც რა დღეში ვართ... ახლა თურმე შეუტყვიან. თორთი იცლებათ და ახირებულან, ჩვენ დაგვიოთეთ ვე სოფელიო.

— როგორ თუ ჩვენი მიწაო?! — გონს ვერ იკრებდა სოლოკო და რეტდასხმული შეპყურებდა მოსულებს...

როგორ წაიედნენ სტუმრები, სოლოკოს ადარ ასსოგის, გახევეული დარჩა ერთ ადგილას ყველაშშრალი და დარეტანებული. სახლამდე ძლივს მიაღწია, შევიდა თავის ოთახში და უთქმელად დაებერტყა სკამზე. ენას ვერ აბრუნებდა. ცოცხა, რა მოხდაო, რომ ჰკითხა, უცებ გიჟივით წამოვარდა და დაიღრიალა:

— როგორ თუ ჩვენი მიწაო?! — და გარეთ გავარდა. მეორე დღეს ახალი ამბავი სოფელმაც შეიტყო, ხალხი ფეხზე დადგა.

პაპა ბერუას გადარევის არაფერი უქლდა. იმან ხომ ყველაფერი დანამდილეებით იცოდა, ვინ-ვის იყო და რა-რა იყო, და პირდაპირ ცეცხლს ყრიდა პირიდან. მეორე დღესვე დაიბარა ორივე ვაჭარმელი და გადაჭირთ განუტხალა:

— ან ეს სახლი იმ ფერდობზე გადაიტანეთ დაზამთრებამდე, ან არა და მედღარისის ციხიდან მომისროლეთ! გაბაბიჯა ფეხი და არავის არაფერი მოუხმინა. თქვენ

თუ არ იხამთ, მოვიშველებ ამ სკოლის ბიჭებს და ბოლს გავიდენ სახლსო.

ჩაფიქრდნენ ძმები, იქნებ მართლაც ღიადეს, ერთი პატარა ფიცრული ჩავდეთ იქ, სადაც ეს ბიჭი ირჩევს... და გელსაც ფრთები შეესხა. მის სიხარულს სახლავარი არ ჰქონდა. ყოველდღე ვარბოდა დირექტორის ახალი სახლის მშენებლობის სახანავად. ხან თვითონაც აშვევლებდა ხელს ხელოსნებს. ზამთარი კარს იყო მომზადრი და ჩქარობდნენ კალატობები. სოლოკო თავისი ბარგი-ბარხანით მეზობლისას იყო შეხიზნული ერთ პატარა ოთახში.

ჩრდილოეთის ქარმა დაუბერა, მუშებს ყურები ეწვოდათ, მაგრამ სამუშაოს თავს არაიენ არილებდა. საქმე გადასებდა იყო, დანარჩენს ყველაფერს ადვილად მიეკლებოდა.

სამოსახლის ახლოს მეორე კრილი გაჩნდა. მერე მესამე, მეოთხე... ზოგმა დროებით უბრალო მავთულით შემოილობა ნაკვეთი. სოფლის მესვეურები გაუთავებლად მიდი-მოდიოდნენ, საქმეს არჩევდნენ, ერთ აზომვა-აწონაში იყენენ. უცხო ხალხიც გაჩნდა. ზოგი — მოდავე, ზოგი — მომიჩიანი, ზოგი — შემოწმებელი... ბევრი მოწინააღმდეგეც გამოერია. მაგრამ ამუშავდა მანქანა და ახლა რაღა შეაჩერებდა?

სოფელი ადგოს ინაცვლებდა თავისი ძირძველი სახელით, ოჯახებითა და ჯამათით. ჩვეულებებითა და ტრადიციებით, თორთი თორთად რჩებოდა თავისი ვიწრო მისასვლელი გზით, სახნავ-სათესითა და საითბებით, თავისი ბურჭებგაბიჭვული ძველისძველი ციხით. ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხით. თავისი გასაჭირითა და სიხარულით.

19397



საბარათო
...
...
...
...
...

ადამიანების შეგნებაში რაღაც შეირყა, შებრუნდა, შეტორქმანდა... გონება ახალმა უნიკუმმა სხივმა განათა, ყველანი შეიცვალნენ, გადასჯივდნენ, სულ სხვა სურვილები და მისწრაფებები გაუჩნდათ, თითქოს ახლა იცნო მამ მამა და მეზობელმა — მეზობელი, ხელი გაუწვრილა კაცმა კაცს, ერთმანეთის ფიქრითა და მოსაზრებებში დაღინტრესდნენ. სოფელი სულ სხვაინარად დუნდა და ფუსფუსებდა. ახლა ჩვეულებრივად აღარ უტყვირდნენ მამამათნული კერის მიმტრებელ კაცს, ისე ადვილად აიარ ამართობდნენ, როგორც უწინ — რა ქნას, მისაც უნდა კარგი ცხოვრებაო. ამიტომ იყო, სოფელი გაგრეხებ შეხვდა თიკარაშვილების თაქხის სოფლიდან აღდასვლის განსზრახვას. გული დთვისტორამ თავისი ქნა და აქაური ფუძის მოშლა მოინდომა. ვერაფერი გააჩერა, ვერც მეზობლებამ, ვერც მეგობრობამ, ვერც ცოლ-შვილის წუჭუნებამ — მთლიან ნუ ამოვადებთ აქაურობას... ვერც მათს ქვითინ-ჭულუნამა გაუკრა — ერთი წელი დამჩრა, ბარემ სკოლას ავეკ დავაბოავრებ და მერე გადავდეთო. დიპჩინა და მთარს არ დაღმალავს თავისი ნაბოლარა ქალიშვილისათვის, სწორედ შენი მოცილებმა მინდა აქაურობისათვის... და თადარიგს შეუდგა. სახლი მეზობელს მიყიდა — დამაღე და, როგორც გინდოდეს, გამოიყენეთ, თუ რამ ძვირფასეულობა ჰქონდა, ახალ, ჭერ დაფუთავრებულ სახლში გადახიდა — ორი თოახი სპეციალურად მოამთავრა პირველ სართულზე... ჰოდა, ერთ დღის, აღრიანად, სოფლის თვალს რომ აჩივდებოდა, სრულიად მოულოდნელად წამოყარა ცოლ-შვილი ლოგინიდან, ჩასხა მანქანაში და გზას გაუყენა.

სოფელი, ის იყო, იღვებოდა, თიკარაშვილების ეზობად მანქანა რომ გავიდა. ცამოწმებელი დილა იდგა, უქარი, წყნარი, მაგრამ სუსხიანი. პირველი ჭირხლი მოსდებოდა გადამამარ ბალახს, მახლობელ მთა-გორებს წვეროები შეთვრებოდა, ხეებში ნისლი ჩამოქოლდებოდა. ბუნება გარინდებულიყო. მხოლოდ მანქანა მილუნებდა ქვემოთ გზაზე და თანდათან სულ უფრო მეტად და მეტად შორდებოდა მშობლიურ სოფელს.

გამოუძინებელი გული დაბოღმილი უქდა საქებს და დაბღვერილი გაჰყურებდა გზას. რაღაც უგეუმურად, უგულად მიიარხინებდა მანქანას, ცოლ-შვილისაყენ არ იხედებოდა. ხმის ამოვება აუკრძალა ყველას, ისედაც ცეცხლი მედგა გულზე, არაფერი მიიხარა, ხნამში არ გადავაქანო მანქანაო. აღრენილი იყო, აღუწილი, ნაღველმუგებებული. სამუდამოდ წამოვიდა კაცი სოფლიდან და ხელიც კი არავის დაუქნევია, მშვიდობა არავის უსურვებია, ახალი სამოსასლი არ დაულოცავთ, კიპა არავის აუღია. არც, სხვები რომ მიდიოდნენ, მთელი სოფელი მიაცილებდა, სუფრის უმართავდა, ლოცავდა, არადვიწყებას ეფიციებოდა...

გული გასკდომავზე ჰქონდა, თავბრუ ეხვეოდა, რაღაც მაქლაჭუნა შეკლიოდა ტანში და მოუსვენრად აფორიქებდა, წუხდა და არ იცოდა, რაზე, დარბობდა და არ იცოდა — რას.

სოფელი უქან რომ მიიტრეყას, კიდევ უფრო აბორგადა, სახე დაემანჯა, ტუჩები აუცახცახდა.

გვერდი რომ უქციეს დიდ გორას, რომელზედაც სოფელი იყო გაშენებული, და მედგარისის ცინის მორღვეული თიხნურებიც თვალს მიეფარა, მთლიან მოიშალა.

ცოტა ხანში ხეემი ჩაივდნენ, აქ გზა კიდევ უფრო ვიწროვდებოდა და სვლაც გაჭირდა, თანაც ნისლი ისე

გაწოლილიყო წინ, რამდენიმე ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა.

ქობურას წყაროსთან გულმ არაზღად მანქანა შეიყენა და ანგაოშვიციმალად გამოალო აჩრა, რა ემეკემა შეაჩერა? თვლი მოვალე ეჭურობას და ჩაუჭერდა. არ სწუხრია, არ ცხებოდა... მთივ მივიდა წყაროსთან და ყინულივით ცივი წყლით გახურებული ხელისგულები, საფეხები დაიხალა და შევითი ამოისუნთქა. ესამინება თვალს მოიცილიე წყალი. ვიწრო ხოლად რომ მიექანებოდა ქვემოთ დელისაკენ.

აუწერელი სიმშვიდე და სიწყნარე იდგა ირგველი, მხოლოდ წყლის ცეკვი წყაუნი აღწევდა სმენამდე... და ამ დროს, თითქოს ზეციდან ჩამოაღწიაო, ნისლივან ხე-ხუტეში გაისმა გაბითი და დანაწევრებულად:

— მა-ი-ააა!

გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. ვერ გარკვეულიყვნენ, ნამდვილად შემოეცნათ თუ მოეჩვენათ. ცოტა ხანში ისევ გაისმა ექოდ დაშლილი ძახილი:

— მა-ი-ააა!

გული დაბნეული მიაჩერდა ქალიშვილს, თითქოს მისგან ელოდა იმის ახსნას, თუ რა ზნებოდა. მათს ყურებზე ადევრებოდა ხელისგულები, მაგრად დახებდა თვალები და თითოდად, დაწვებზე ცრემლი ჩამოკედებოდა და ტუჩები ისე მაგრად მოეკუმა, თითქოს ეშინია, არაფერი წამომცდესო.

ძახილი ისევ გაეკორდა:

— მა-ი-ააა!..

თავდახრილი გული წელმოწყვეტილივით ჩაქდა მანქანაში და მცირე ხანს დაფიქრებელი იჯდა, მოტეხილი და მორღვეული. მერე მიძივდ აილი თავი და გახედა გზას, რომელიც ნისლში იყარგებოდა.

უანგაროშოდ ჩართო ძრავა და ისევ ჩაფიქრდა. მერე, თითქოს რაღაც დაღწევიტო, ენერჯულად გასწორდა წელი და მანქანა უქან-უქან სვლით დახია, მერე წინ გაიყვანა გზის კიდემდე და ზედ ციკაბოს გადააღდა. ცოლში შიშით შემოაჩერდა:

— რას შერები, ადამიანო! — ენა ძლივს მოუბრუნდა დაზაფრულ ქალს.

გულის არც მიუხედავს მისყენ, ისე შეუტია:

— დამაცა ვერბი!.. რას შერები, რას შერები!.. მე ვიცი, რასაც შერები! — დიდი ვაი-ვაგლახით შემოაბრუნა მანქანა და უქან, სოფლისაკენ გაუყენა გზას.



ეს დაუღლებელია დიდი პედაგოგისა და გამოჩენილი საბავშვო მწერლის, იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებასა და გამოქვეყნებაში.

იაკობმა ზეპირსიტყვიერების შეკრება თავისი მშობლიური სოფლიდან, ვარიანიდან დაიწყო. ეტყობა, ბავშვობიდანვე, ხალხში გაფიქრებული ჰქონდა მრავალი ლექსი და თუ ზღაპარი, ლექსი და არაკი, რაც ცხოველად დაიჩინა მის სულს.

